სასურსათო საბითუმო ბაზარი სურსათის წარმოებასა და მომხმარებლამდე წინწაწევის ჯაჭვში მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, მათი შეთანხმებულობის შეფასებების კრიტერიუმების დასაბუთება, ინტერესების ბუნებისა და მისი არსის მკვეთრი გაგების, აგრარული სფეროს ეკონომიკურ განვითარებაში საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების სისტემაში მათი როლის ურთიერთქმედების შესწავლის გარეშე შეუძლებელია.



წარმოების ორგანიზაცია და მისი უწყვეტი განახლება კაცობრიობის არსებობის აუცილებელ პირობაა, რადგან ადამიანები მოიპოვებენ მატერიალური წარმოებიდან სიკეთეებს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა მოთხოვნების დაკმაყოფილების ეს აუცილებლობა მრავალი მკვლევარის აზრით არ არის საკმარისი იმისთვის, რომ იგი განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ინტერესი. მატერიალური მოთხოვნები იძენენ ეკონომიკური ინტერესების ფუნქციას არა უშუალოდ, არამედ საწარმოო ურთიერთობების მიხედვით. მხოლოდ აღნიშნული ურთიერთობები და მატერიალურ რესურსებში მოთხოვნები ანიჭებენ ეკონომიკურ ინტერესს სპეციფიკურ შინაარსს. მაშასადამე, მოთხოვნები გარდა მატერიალური საფუძვლებისა, განიცდის ტრანსფორმირებას ეკონომიკურ ინტერესებში. მოთხოვნებს, როგორც საწარმოო ურთიერთობების ელემენტების შემადგენელ ნაწილს, ასევე გააჩნია სოციალური საფუძველიც.

აგრარული ბაზრის სამეურნეო აგენტების ეკონომიკური ინტერესი ეს საზოგადოებრივი ინტერესის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც განპირობებული მოცემულ სფეროში საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების ობიექტური ფაქტორებით. ცნობილია, რომ ინდივიდის (ადამიანის) მოთხოვნის წარმოდგენა შეიძლება, როგორც მატერიალური და სულიერი სიკეთეების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისთვის. თავის მხრივ თვით ადამიანების ეს მოთხოვნა სიკეთეებში იცვლება საწარმოო ძალების დონის განვითარებისა და მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად, რაც ასახვას პოულობს მეურნეობრიობის გარკვეულ წესში და გავლენას ახდენს მის ეფექტურობაზე.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ ეკონომიკური ინტერესის კავშირი მთლიან საწარმოო ურთიერთობებთან, კერძოდ წარმოების პროცესთან და ჩამოვაყალიბოთ საკუთარი პოზიცია საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების ინტერესების ბუნების, როლისა და ხასიათის კვლევის სისტემაში, აუცილებელია გამოვლენილ იქნეს მისი მატერიალური საფუძველი, რეალიზაციის ფორმა და დაკმაყოფილების ხარისხი, ხოლო ეს შესაძლებელია მისი სუბიექტურ-ობიექტური ანალიზის საფუძველზე. მაგალითად, ფრანგი ეკონომისტი **რ. ბარი** ეკონომიკურ ინტერესს ახასიათებს, როგორც კმაყოფილების და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას, ხოლო ჩეხი ეკონომისტი ო. შიკი, როგორც ადამიანის მდგრად მიმართულებას, ადამიანთა ფსიქიკურ განცდას. არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინტერესი ეს არის ადამიანებში ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების სუბიექტური გამოვლენა. ეკონომიკური ინტერესის ბუნების სუბიექტურობის შესახებ მოსაზრება აშორებს მას ისეთი სუბსტანციიდან, როგორიც არის ობიექტური მატერიალური მოთხოვნები და აყენებს თვით საწარმოო ურთიერთობებს მატერიალური წარმოების პროცესში ობიექტურობის გარეთ.

ეკონომიკური ინტერესის შინაარსისადმი ჩვენი მიდგომა მდგომარეობს მის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთიანობაში. როგორც აღვნიშნეთ, მატერიალური საშუალებების მოპოვების პროცესში ადამიანები შედიან ერთმანეთში სხვადასხვა სახის ურთიერთობაში: ბუნებასთან, ერთმანეთთან, ასოცირებულ ეკონომიკურ სუბიექტებთან, საზოგადოებასთან გარკვეული ინსტიტუციონალური სახით, რომლებიც ფუნქციონირებენ გარკვეულ სფეროში მათი რეალიზაციის გარკვეულ გარემოში. ეს სუბიექტები, რომლებიც აერთიანებენ და აზოგადებენ თავის მატერიალურ მოთხოვნებს მეურნეობრიობის სუბიექტების ინტერესების მეშვეობით, იყენებენ მათი დაკმაყოფილების სხვადასხვა ფორმას, რაც განპირობებულია საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების დონით. ცალკეული ინდივიდის მატერიალური მოთხოვნების გაფართოებული ასპექტი მეურნეობრივი სუბიექტების საზღვრებამდე მნიშვნელოვნად ახდენს მათი განსაზღვრის მოდიფიცირებას. ამასთან


დაკავშირებით, ბრუნვაში იყენებენ ცნებას – „სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური მოთხოვნები“, რომელიც ატარებს შემდეგ მახასიათებლებს (სქემა 1):

ეკონომიკური მოთხოვნები განპირობებულია როგორც აღვნიშნეთ აღწარმოებით ციკლთან საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების ფორმირებით. მაგალითად, აგრარულ სფეროში მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი პროცესის - „წარმოება-**გაცვლა-განაწილება-მოთხოვნა**“ ფარგლებს შიგნით მოძრაობა უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუ ეკონომიკური მოთხოვნები ვლინდება გარკვეულ ეკონომიკურ გარემოში პერსონიფიცირებული წარმომადგენლობითი ფუნქციების მიხედვით, მაშინ ის წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესის მთავარ ამოსავალს.

ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ვახდენთ ეკონომიკური ინტერესის პერსონიფიცირებას არა პოლიტიკურ-სოციალურ ასპექტში (კლასები, საზოგადოებრივი წყობილებები, ჯგუფები), არამედ ეკონომიკური სუბიექტების მიხედვით, რომლებსაც მიეკუთვნება არამარტო აგროსამრეწველო წარმოება, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის სუბიექტები და ფინანსური - იმ ნაწილში, რომელიც ეხება აგრსამრეწველო წარმოებებში შემავალი სფეროების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. ამრიგად, ცნებას „ეკონომიკური **მოთხოვნები**“, ჩვენ განვიხილავთ წმინდა ეკონომიკური მხრიდან, ეკონომიკური სუბიექტების გაფართოებული აღწარმოების ფუნქციონირების პროცესში ურთიერთობების რეგულირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის მოთხოვნები, როგორც საწარმოო საქმიანობის საფუძველი, წარმოადგენს მის ერთ-ერთ კომპონენტს. ეკონომიკური მოთხოვნები კი განიხილება წარმოების პროცესის კონტექსტში, თუმცა ეს სხვა არაფერია თუ არა ადამიანის განზოგადებული მატერიალური მოთხოვნები, განპირობებული საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების მიმდინარეობით.

თავისთავად, ეკონომიკური მოთხოვნები გამოხატავენ აღწარმოების პროცესის ეკონომიკური მდგომარეობის მხოლოდ ერთ ასპექტს, მათი გათვითცნობიერება და რეალიზაცია ახასიათებს მათ ახალ ხარისხში - ეკონომიკური ინტერესის კატეგორიაში გადასვლის ნიშანს, ამიტომ მოთხოვნების ობიექტური ბუნება ხდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, ეკონომიკურ ინტერესებში მათი ტრანსფორმაცია ხორციელდება სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდებით ადამიანების გათვითცნობიერებისა და ურთიერთქმედების პროცესის მეშვეობით. როგორც ვხედავთ, ეკონომიკური ინტერესი არ აყალიბებს ეკონომიკურ ურთიერთობებს ისე, როგორც ეკონომიკური ურთიერთობები პირდაპირ არ აყალიბებენ ეკონომიკურ ინტერესებს, მაგრამ წარმოადგენენ მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურების უშუალო წანამძღვარს.

მთლიანად, ეკონომიკური და მათ შორის აგროსამრეწველო დარგების ურთიერთობების რეფორმირებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ჩამოყალიბდა კერძო საწარმოო სტრუქტურები, რის შედეგადაც მოხდა ეკონომიკური ინტერესის ტრანსფორმაცია, რამაც ხელი შუწყო საკუთრების ფორმების დიფერენციაციას. ჩამოყალიბდა ცალკეული საქონელმწარმოებლების კერძო ინდივიდუალური ან კერძო კოლექტიური ინტერესი. საწარმოო გაერთიანებების და მათი მუშაკების ეკონომიკურ ინტერესში შეინიშნება სუბიექტურობის გარკვეული ელემენტები. ეს ცვლილებები ერთიანად ვლინდებიან აგრარულ ბაზარზე არსებული არაჯანმრთელი კონკურენციის პირობებში, სადაც მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ ფონდ მწარმოებელ დარგებს, გადამუშავების სფეროს, მომსახურებას. ასეთ ვითარებაში სურსათის წარმოების ჯაჭვში მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ელემენტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს კარნახობს აგროსამრეწველო წარმოების პროდუქციის წინწაწევის ერთიან ტექნოლოგიურ ორგანიზაციულ — ეკონომიკური სისტემის ჯაჭვში საკუთარ ეგოისტურ ინტერესს. სხვადასხვა სუბიექტების, დარგებისა და სფეროების ინტერესების დამახინჯებას საფუძვლად უდევს ობიექტური პირობა — სურსათის ერთიანი ბაზრის არარსებობა, სასოფლო — სამეურნეო საქონელწარმოებისა და მომხმარებლისათვის მათი მიწოდების სტრუქტურებს შორის მოწესრიგებული ურთიერთობების არქონა და სხვა სახის რეგულაციები. სურსათის წარმოებისა და წინ წაწევის ჯაჭვში ყოველი მონაწილის



სქემა1. ეკონომიკური მოთხოვნებისა და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება

ეკონომიკური ინტერესების პრივატულობა ანიჭებს ამ ინტერესებს სუბიექტურობის ელემენტს. თვით ეკონომიკური ინტერესების ობიექტურობის მომხრეები არ უარყოფენ მის ეგოისტურობას, ანუ იგი შეიცავს სუბიექტურობის ელემენტს. ეკონომიკური ინტერესების გათვითცნობიერება მიმდინარეობის ობიექტურობიდან სუბიექტურობაზე გადასვლის პროცესში. მართალია ამ პრობლემის მკვლევარები აკეთებენ განმარტებას, რომ ინტერესი წარმოადგენს არა თვით ეკონომიკური ობიექტურობისა და სუბიექტურობის ერთიანობას, არამედ მისი რეალიზაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება ადამიანების პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ამრიგად, ეკონომიკურ ინტერესს აიგივებენ ადამიანების მატერიალურ მოთხოვნებთან, გამოყოფენ ობიექტურობას მისი შინაარსის, აღქმისა და რეალიზაციის სუბიექტური ფორმის მიხედვით.

ინტერესის ობიექტურ მომენტს წარმოადგენს სუბიექტის მდგომარეობა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში (წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესში), სუბიექტურ მომენტს კი განაპირობებს იდეალური აღმძრავი ძალები: სურვილი, სწრაფვა და პროცესების მართვა.

აგრარული წარმოების სუბიექტების სამეურნეო კავშირების სტრუქტურა მოწმობს საწარმოო ურთიერთობების მრავალფუნქციონალურ, რთულ სისტემაზე, რომელშიც სტრუქტურული ერთეულები შედიან თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში. ისინი მუდმივად წარმოიქმნებიან და გააჩნიათ თავისი გამოვლენის კონკრეტული ფორმები. შედეგად იქმნება ეკონომიკური კავშირების განშტოების სისტემა როგორც ვერტკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით.

ეკონომიკური ურთიერთობები სურსათის წარმოების სფეროში წარმოდგენილია შემდეგი სახეებით:


- **ურთიერთობები მეურნეობრივ სუბიექტებსა და საზოგადოებას შორის** (სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით) სასურსათო ფონდების ფორმირების მიზნით;
- **ბაზრის სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტების ურთიერთობები**. ეს ურთიერთობები მრავალფეროვანია. ის შეიძლება იყოს ურთიერთობები ცალკეულ სახელმწიფოს, აგროსამრეწველო საწარმოებს, ეკონომიკის აგრარული სექტორის სტრუქტურულ ერთეულებსა და ეკონომიკის სხვა სფეროებს შორის;
- **ურთიერთობები კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტებს შორის, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო კომერციულ საქმიანობას**. ესაა ურთიერთობები ერთი და იგივე კონკრეტული სახის შრომის წარმომადგენლებს (ასევე კონკრეტული სახის შრომის განსხვავებულ სახეებს), სოციალურ ჯგუფებს, შიდასაწარმოო ქვედანაყოფებს, წარმოების საშუალებების მესაკუთრეებს და მუშაკებს, ერთი და იგივე პროფესიის პირებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოებაში და სხვა.

ამრიგად, ეკონომიკური ურთიერთობები მთლიანობაში შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ფორმამდე: **გარე და შიდა (შიდასამეურნეო) ურთიერთობები**. გარე ეკონომიკური ურთიერთობები ესაა ურთიერთობები, რომლებიც მყარდება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში (გაცვლისა და მოგების გადანაწილება). ისინი ვლინდებიან სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში და სხვა აგენტებთან ურთიერთობის პროცესში, რომლებიც წარმადგენენ სახელმწიფოს ინტერესებს, (მატერიალურ — ტექნიკური რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის, საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე).

აგრარულ სფეროში და მომხმარებლამდე სურსათის წინწაწევის ერთიან ჯაჭვში მონაწილეთა ინტერესების სახეობების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია მატერიალური წარმოებით და ეკონომიკური ურთიერთობებით, რომელიც მყარდება მათი განხორციელების და შექმნილი პროდუქტის განაწილების დროს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ინტერესის სისტემა განვიხილოთ, როგორც კერძო და საერთო გამოვლენისა და შეთავსების პროცესი.

საერთო სახით ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება არაპირდაპირ ვლინდება აგროსამრეწველო კომპლექსში იმ ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ სქემაში და რომელიც ასახავს მთლიან ერთიანობას, მათ განყენებულობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას პიროვნების ინტერესების, როგორც ეკონომიკური ინტერესები საწყისს (სქემა 2):

მაშინ, როცა დეცენტრალიზებულია აგრარული საწარმოო პროცესი, შეუძლებელია პრიორიტეტი მივანიჭოთ რომელიმე ერთი სახის ინტერესს, რადგან ყველა სუბიექტების ინტერესები ურთიერთგადახლართულია და არ დომინირებს ერთი მეორეზე, ყოველი მათგანის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს შეთავსებისა და შეთანხმების პრინციპებზე დაყრდნობით. შეთანხმებულობის კრიტერიუმი შეიძლება



სქემა 2. სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედების

იყოს გარკვეული ტიპის მეურნეობის პროცესში ობიექტური გამოკვლევა, რომელიც ეფუძნება გაფართოებულ აღწარმოებას, ამავდროულად სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების სამეურნეო სუბიექტურ ინტერესებს და ამავდროულად შედეგები სასარგებლოა და საჭიროა მთლიანად საზოგადოებისთვის. სახელმწიფომ უნდა გაატაროს აგროწარმოების სფეროში ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულება, რომ **აგროსაწარმოო სფეროში ეკონომიკური ინტერესი განპირობებულია როგორც მატერიალური მოთხოვნებით, ისე საბაზრო ურთიერთობების სისტემით და ატარებს ობიექტურ-სუბიექტურ ხასიათს. შედგად, კატეგორია ეკონომიკური ინტერესი უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე მატერიალური და ეკონომიკური მოთხოვნები (ადამიანი, საბაზრო სუბიექტები). ეკონომიკური ინტერესი მისი რეალიზაციის პროცესში მასში მონაწილე ელემენტებს მოცემულ სისტემაში დაკმაყოფილების საწყისების აღმძრავ ფაქტორებს უკავშირებს წარმოებას და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას. მოცემულ ასპექტში საერთო ეროვნული ინტერესის უპირატესობა ნათელია, მაგრამ სახელმწიფო რეგულირება ეფუძნება არა იძულებას, არამედ ეკონომიკურ ღონისძიებებს. ასეთი მიზნების განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფო საბაზრო მექანიზმების საშუალებით. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ მწვავე საკითხს წარმოადგენს პირადი და კოლექტიური ინტერესების შეფასება საზოგადოებრივ ინტერესებთან.**

რევაზ ხარებავა
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

შორენა ხუბუნაია
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი



FOOD WHOLESALE MARKET – THE MECHANISM OF REALIZING INTERESTS OF THE PARTICIPANTS OF THE CHAIN OF FOOD PRODUCTION AND PROMOTION TO THE CONSUMERS

SUMMARY

Revaz Kharebava
Doctor of Economics Professor
Shorena Khubunaia
Postdoctoral student of Sokhumi State University

Correlation of interests between sectors participating in the food production, fields and industrial subjects is quite actual and complicated problem, as, due to the characterizing forms and methods, market mechanism is unable to become the one of parity of interests in different fields of economy. Conformity of economical interests, being the process of avoidance of economical resistance, is necessary condition of economical interests of the participants in the process of food production among the participants of promotion of the products of agro-industrial complex. Taking into account the fact that business structures participating in unified technological cycle of interests are complicated, giving rise to the necessity of structuring system of interest. As a rule, they start conformity of general, so called bander interests and focusing on solution of strategic tasks through taking into account separate integrated interests. General interests of the fields and domains employed in the field of food production exist in following: deepening integration production technologic nature, formation of general industrial domain in the system of industrial economical relations, regularity of work in the unified technological process, operation of every range participating in the integrated system in the regime of extended reproduction, and formation of stabile competitive production.